57

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 127

20 11 წ. "12" 08

ქ. თბილისი

შპს - თბილისის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ

შპს - თბილისის საზოგადოებრივი კოლეჯის მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 12 აგვისტოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს - თბილისის საზოგადოებრივ კოლეჯს (საიდენტიფიკაციო კოდი: 404391537) მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების - საზოგადოებრივი კოლეჯის სტატუსი და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 261-ით.

2. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 12 აგვისტოს №15 სხდომის ოქმის მე-8 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

საბჭოს თავმჯდომარე
კახი ყურაშვილი

სხდომის მდივანი
ანა კლდიაშვილი